ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგია ასრულებს რა განხილვის კოლეგიის ფუნქციას, საქმეს განიხილავს შემდეგი შემადგენლობით:

ეკატერინე გასიტაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ემზარ პაქსაძე - კოლეგიის წევრი

გიგა კვერენჩხილაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.03.2011

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №034/11

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ხ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ხ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2011 წლის 30 მარტს საჩივრით მიმართა მოქალაქე ლ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ხ.-ზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ლ. მ.-ის მიერ 2011 წლის 30 მარტს წარმოდგენილ საჩივარში განმარტებული, მან ადვოკატ ნ. ხ.-სთან ურთიერთობა დაიწყო 2009 წლის გაზაფხულზე რწმუნებულების საფუძველზე. ადვოკატს უნდა წარმოედგინა მარწმუნებლის ინტერესები ამხანაგობის წინააღმდეგ აღძრულ დავასთან დაკავშირებით სასამართლოში. დავის საგანი - თანხის გადახდის დაკისრება. როგორც განმცხადებელი მიუთითებს, ყველაფერი კარგად იყო იმ დრომდე, ვიდრე საქმეში ჩაერთვებოდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი, რადგან საჩივრის ავტორის ვარაუდით ის გაურიგდა ამ უკანასკნელს, რაც გახდა ნ. ხ.-ის პროცესზე

გამოუცხადებლობის და სასამართლოს მიერ მის სარჩელზე 2010 წლის 21 მაისს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მიზეზი.

1.3 ლ. მ.-ის განცხადებით მას სასამართლოში საქმის წარმოებისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს 3000 ლარი, ხოლო 1000 აშშ დოლარი ადვოკატის გასამრჯელო და კიდევ სხვა თანხები სხვადასხვა ცნობებისათვის.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით მან ადვოკატის დახმარებით საჩივარი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2010 წლის 21 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით. როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 03 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმის ამონაწერით ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამრთლოს 2010 წლის 21 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ ძალაში იქნა დატოვებული.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინა საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, რაზედაც აპელანტს სასამართლოს მიერ განესაზღვრა ხარვეზი და ბაჟის გადასახდელად დაუდგინდა 5000 ლარი, როგორც საჩივრის ავტორი განმარტავს მას ადვოკატმა დაუმალა ის ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლოში გადასახდელი ჰქონდა 5000 ლარი, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამრთლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, ლ. მ.-ის განცხადებით აღნიშნული ადვოკატმა განახორციელა იმიტომ, რომ ის გრძნობდა თავისი ქმედების დანაშაულს.

1.6 ლ. მ.-ის განმარტებით, მან არაფერი იცოდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიტანა გადაწყვეტილება, ისე ჩაიბარა ადვოკატმა ხ.-მ გადაწყვეტილება საკასაციო სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რომ მისთვის არაფერი უცნობებია 2011 წლის 4 თებერვალს მან თავად ჩაიბარა სააპელაციო სასამრთლოს განჩინება, თუმცა ადვოკატს 2011 წლის 31 იანვარს უკვე მიღებული ჰქონდა აღნიშნული განჩინება.

1.7 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სიტუაციაში გარკვევის მიზნით ის არაერთხელ ეცადა დაკავშირებოდა ადვოკატს. ადვოკატთან კლიენტს საუბრისას განუმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრებისათვის დარჩენილი ჰქონდა რამდენიმე დღე. ლ. მ.-ის განმარტებით, მან განუცხადა ადვოკატს დაებრუნებინა ფული და საბუთები, რის შემდეგაც ადვოკატი აღარ გამოჩენილა, იგი აღარ პასუხობდა კლიენტის სატელეფონო ზარებს, ხოლო დედა, ძმა და თანაშემწე მისი არყოფნის სხვადასხვა მიზეზს უსახელებდნენ. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად მისი არაერთგზის მცდელობისა მან ადვოკატთან დაკავშირება ვეღარ შესძლო და მხოლოდ ერთი თვის ძებნის შემდეგ დაუკავშირდა შვილის ტელეფონით, რის შემდეგაც, ადვოკატმა მას, დაუბრუნა გადაცემული დოკუმენტები არასრული სახით ისე რომ მასთან შეხვედრა არ იკადრა.

1.8 ეთიკის კომისიის 15.04.11 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საჩივარს და დამატებით განმარტა, რომ გულზე გადატანილი მძიმე ოპერაციისა და ავადმყოფობის გამო არ იღებდა მონაწილეობას სასამართლო

სხდომებში. მისივე განმარტებით ადვოკატი მას არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მსვლელობისა და სასამართლო სხდომების გამართვის თარიღისა და დროის შესახებ. საჩივრის ავტორის განმარტებით ის თავად რეკავდა ადვოკატთან და ასე იღებდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ. საჩივრის ავტორის განმარტებით ის ადვოკატის მხრიდან არ ყოფილა ინფორმირებული 2010 წლის 21 მაისის სასამართლო სხდომის შესახებ და აღნიშნულ საქმეზე არასოდეს ჩაბარებია სასამართლოს უწყება.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით ის არ იყო ინფორმირებული იმის შესახებ, რომ ადვოკატი ვერ დაესწრებოდა სასამართლო სხდომას, მან არ იცოდა და ადვოკატს არ შეუტყობინებია მისთვის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის უარყოფითი შედეგები.

1.10 საჩივრის ავტორის უთითებს, რომ კლიენტის კითხვაზე, თუ რატომ არ გამოცხადდა სასამართლო მთავარ სხდომაზე მან განუცხადა, რომ ის სასამართლოს წარუდგენდა შესაბამის ცნობას და გაუქმდებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუმცა სასამართლოში საჩივრის განხილვისას განაცხადა, რომ იმყოფებოდა მივლინებაში.

1.11 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პირადად ვერ შეძლებდა პროცესზე გამოცხადებას, რაც ცნობილი იყო ადვოკატისათვის, რის გამოც გასცა კიდეც მინდობილობა და სასამართლოში წარმომადგენლობა მიანდო ადვოკატს.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2010 წლის 3 სექტემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე, რომელსაც თავად ესწრებოდა, ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ მიიჩნია საპატიოდ, რის გამოც ძალაში დარჩა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

1.13 საჩივრის ავტორის განცხადებით, მიუხედავად მისთვის არასასურველი გადაწყვეტილებისა მან კვლავ გააგრძელა ურთიერთობა ადვოკატთან. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მართალია ადვოკატმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი მაგრამ მისთვის არ განუმარტავს, რომ საპელაციო საჩივარზე გადასახდელი იყო სახელმწიფო ბაჟი, ამასთან არ უცნობებია, რომ სააპელაციო სასამრთლოს მიერ მის საჩივართან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო მას განჩინებით დაუდგინდა ხარვეზი, რომლის აღმოუფხვრელობის გამო სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

1.14 საჩივრის ავტორის უთითებს, რომ ადვოკატმა არ დაიცვა კლიენტის უფლებები და უგულვებელყო მისი ინტერესები, რის გამოც მოითხოვს ეთიკის კომისიის მიერ შესწავლილ იქნეს ადვოკატი ნ. ხ.-ის ქმედება და დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა. საჩივრის ავტორი ასევე ითხოვს გადაცემული დოკუმენტების და გადახდილი თანხის დაბრუნებას.

1.15 2011 წლის 21 ივლისს ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა ლ. მ., მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საჩივარს და უპასუხა ეთიკის კომისიის წევრთა კითხვებს.

1.16 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი დავას აწარმოებდა სამი ოჯახის წინააღმდეგ, რომლებიც იყვნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები და დაარსებული ჰქონდათ ამხანაგობა. ლ. მ. ადვოკატს შეუთანხმდა, რომ ადგილობრივი მაცხოვრებლების შვიდ ბინაზე უნდა დადებულიყო ყადაღა, რისთვისაც ნ. ხ.-ს გადაუხადა ყადაღის რეგისტრაციის საფასური. ლ. მ.-ის განმარტებით, საბოლოოდ ყადაღის დადება შვიდი ბინის ნაცვლად მხოლოდ ხუთ ბინაზე მოხდა, რაც გამოწვეული იყო ადვოკატის ბრალეულობით.

1.17 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა აცნობა, რომ მათ საწინააღმდეგოდ მიიღეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ადვოკატმა კლიენტს სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზად ავადმყოფობა დაუსახელა, ხოლო სასამართლოში განაცხადა, რომ გამოუცხადებლობის მიზეზი მივლინება იყო. საჩივრის ავტორის განმარტებით, თუ ადვოკატი მივლინებაში მიდიოდა, ამის შესახებ წინასწარ უნდა სცოდნოდა და ეცნობებინა მისთვის, რომ თვითონ დასწრებოდა პროცესს.

1.18 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას ზუსტად არ ახსოვს იცოდა თუ არა სასამართლო სხდომის გამართვის თარიღი.

1.19 საჩივრის ავტორს ბოლო დღემდე არ ჰქონდა ინფორმაცია სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შესახებ, ასევე იგი სადავოდ ხდის სააპელაციო საჩივარზე არსებული ხელმოწერის მისადმი კუთვნილებას.

1.20 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის საჭიროების შესახებ ინფორმირებული არ იყო, ამასთან სასამართლოდან არანაირი საბუთი არ ჩაბარებია მას, მათ შორის, არც ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატ ნ. ხ.-სთან გასაუბრება შედგა 2011 წლის 15 აპრილს, რა დროსაც მან წერილობით მისცა კოლეგიას ახსნა-განმარტება საჩივარში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით, ხოლო მოგვიანებით ასევე წარმოადგინა წერილობითი ახსნა- განმარტება და უპასუხა საპროცესო კლეგიის მიერ დასმულ კითხვებს.

2.2 ადვოკატის განმარტებით ის წარმოადგენდა ლ. მ.-ის ინტერესებს ზეპირი ხელშეკრულებისა და სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულების საფუძველზე. მისი განმარტებით ის პროფესიულად უძღვებოდა კლიენტის საქმეს, წარადგინა სარჩელი სასამართლოში, მისი განცხადების საფუძველზე სასამართლომ გამოიყენა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა დაადო მოპასუხეთა საკუთრებაში არსებულ ხუთ საცხოვრებელ სახლს, მისი შუამდგომლობის საფუძველზე, რადგან მოპასუხეები ვერ იქნენ მოძიებულნი და სასამართლომ ვერ უზრუნველყო სარჩელის ჩაბარება, სარჩელი გამოქვეყნდა საჯაროდ. მოპასუხეთა მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო 2010 წლის 23 მარტს სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება ლ. მ.-ის სასარგებლოდ.

2.3 ადვოკატის განმარტებით 2010 წლის აპრილის თვეში დანიშნულ სასამართლო სხდომაზე, რომელსაც მხოლოდ თავად ესწრებოდა, გაუქმდა 2010 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სასამართლო მთავარი სხდომა გადაინიშნა 2010 წლის 21 მაისს. პროცესის დასრულებისთანავე ადვოკატმა აცნობა კლიენტს მომდევნო სასამრთლო სხდომის თარიღი. ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტს აცნობა, როგორც სხდომის შესახებ, ასევე პროცესზე გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ.

2.4 ადვოკატის განმარტებით, სასამართლო სხდომის დღეს - 23 მარტს, მან არ იცოდა იმის შესახებ რომ მომდევნო პროცესზე - 21 მაისს მისვლას ვერ შეძლებდა. მისი განცხადებით, მომდევნო სასამართლო სხდომის დღეს - 21 მაისს მან პირადად შეიტანა განცხადება სასამართლო სხდომის გადადების შესახებ და დაურთო ბრძანება მივლინებაზე.

2.5 ადვოკატის განმარტებით ის 2009 წლიდან მუშაობს შპს ,,კ.” -ში და შპს ,,თ.”-ში იურისტად, აღნიშნული კომპანიები აწარმოებენ გზების კაპიტალურ და მიმდინარე მშენებლობას. ადვოკატის განმარტებით 2010 წლის მაისში კომპანიას წარმოეშვა ტექნიკური პრობლემები კერძოდ ჩაიქცა გზა, ახალციხე – ნინოწმინდის ცენტრალური მაგისტრალი, რამაც გამოიწვია საავტომობილო გზების პარალიზება, აღნიშნულით პროექტის ვადებში დასრულების პრობლემა შეიქმნა, რაც კომპანიას და სახელმწიფოს დიდ ფინანსურ ზიანს მიაყენებდა, ასევე ზარალდებოდა მოსახლეობა. ადვოკატის განმარტებით საკითხი საჭიროებდა დროულ მოგვარებას, რის გამოც შპს ,,თ.”- დან 2010 წლის 17 მაისიდან 21 მაისის ჩათვლით ის მივლინებულ იქნა ქ. ახალციხეში იურიდიული საკითხების მოსაგვარებლად, რაც ითვალისწინებდა პროექტის შეცვლას და არსებულ რეალობასთან მისადაგებას, შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენას.

2.6 ადვოკატის განმარტებით 2010 წლის 17 მაისს ის ჩავიდა ქ.ახალციხეში მივლინებით, ხოლო გარკვეული დოკუმენტების მოსაგვარებლად ქ.თბილისში დაბრუნდა 2010 წლის 19 მაისს.

2.7 ადვოკატი აღნიშნავს, რომ თბილისში ყოფნის პერიოდში, მას ჰქონდა გარკვეული შეხვედრები ფირმის საკითხთან დაკავშირებით გზების დეპარტამენტში, მან ჩაიბარა დოკუმენტები და გარკვეული საკითხების გადაწყვეტამდე მოუწია თბილისში ყოფნა, 2010 წლის 21 მაისს დილით, მან მიიღო სიტყვიერი დავალება გზების დეპარტამენტიდან, რათა 19 მაისს ჩაბარებული დოკუმენტები და დამატებითი მასალები ჩაეტანა ქ. ახალციხეში. ადვოკატის განმარტებით 21 მაისი, პარასკევი დღე იყო კვირის ბოლო სამუშაო დღე, ხოლო ლ. მ.-ის პროცესი დანიშნული იყო 15 საათსა და 10 წუთზე. ადვოკატის განცხადებით ის სხდომაზე დასწრების შემთხევაში ქ. ახალციხეში დანიშნულ სხდომაზე გამოცხადებას ვერ მოახერხებდა საღამოს 8 საათამდე, რაც გამოიწვევდა იმას, რომ ვერ შეხვდებოდა ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებს, ვერ წარადგენდა გზების დეპარტამენტიდან წაღებულ დოკუმენტაციას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა სამუშაოების შეფერხება მომდევნო სამუშაო დღემდე - ორშაბათამდე.

2.8 ადვოკატის აღნიშნავს, რომ მან მიმართა პრაქტიკაში მრავალჯერ გამოყენებულ პროცესუალურ კანონიერ ფორმას, კერძოდ სასამართლოს წარუდგინა ბრძანება მივლინების შესახებ და მოითხოვა სასამართლო სხდომის სხვა დროისთვის გადადება საპატიო მიზეზის გამო. ადვოკატის განმარტებით, ანალოგიური მიზეზით თბილისის საქალაქო სასამართლოში არაერთხელ გადადებულა სასამართლო სხდომა.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მისი მარწმუნებლისთვის ლ. მ.-ისთვის ცნობილი იყო სასამართლო სხდომის თარიღი და დრო, მარწმუნებელს ადვოკატისგან მიღებული ქონდა კონსულტაცია იმის თაობაზე რომ გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომაზე მის გარეშე და სასამართლოსთვის ეცნობებინა, რომ მას ჰყავდა წარმომადგენელი, რომლის სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის გარეშე ვერ შეძლებდა თავისი ინტერესების დაცვას. ადვოკატის მითითებით მარწმუნებელი, მიუხედავად მის მიერ გაწეული კონსულტაციისა არ გამოცხადდა 21 მაისს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე, რასაც შედეგად მოჰყვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მხარის გამოუცხადებლობის გამო.

2.10 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან მოგვიანებით ჩაიბარა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და კანონით დადგენილი წესით გაასაჩივრა. სასამართლომ საჩივარი დასაშვებად ცნო და 2010

წლის 3 სექტემბერს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ ადვოკატი და მისი მარწმუნებელი. ადვოკატმა დამატებით წარუდგინა სასამართლოს ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს. ადვოკატის განმარტებით მოსამართლემ მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ საპატიოდ ჩათვალა ადვოკატის გამოუცხადებლობა სასამართლო სხდომაზე, მაგრამ არასაპატიოდ მიიჩნია ლ. მ.-ის გამოუცხადებლობა, რის საფუძველზეც გამოიტანა გადაწყვეტილება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

2.11 ადვოკატის განმარტებით, მისთვის სასამართლოს პოზიცია გაუგებარი აღმოჩნდა, თუმცა ჩაიბარა გადაწყვეტილება და კანონით დადგენილი წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ საჩივარზე დაადგინა ხარვეზი და მხარეს ხარვეზის შევსების მიზნით დაავალა 5000 ლარის გადახდა. მისი შუამდგომლობების საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრებული იქნა სასამართლოს მიერ. ლ. მ.-ს გადაუვადდა სახელწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის ნახევარი ოდენობის - 2500 ლარის გადახდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და დაევალა - 2500 ლარის გადახდა 7 დღის განმავლობაში. აღნიშნული ფაქტი ადვოკატმა აცნობა მარწმუნებელს, რომელმაც განუმარტა რომ იგი 7 დღეში ვერ შეძლებდა თანხის შეგროვებას და სთხოვა შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში გაეგრძელებინა ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული საპროცესო ვადა. ადვოკატის განმარტებით, მან განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და განუმარტა რომ მხარე თანახმა იყო გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი 2500 ლარის ოდენობით რისთვისაც ესაჭიროებოდა დამატებით 15 დღე. სააპელაციო სასამართლომ საჩივარი დატოვა განუხილველი ბაჟის გადაუხდელობის გამო.

2.12 ადვოკატის განმარტებით, ლ. მ.-ის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ დაუმალა ინფორმაცია სააპელაციო სასამართლოს ბოლო განჩინების შესახებ და თითქოს შეგნებულად არ გაასაჩივრა ის არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან ადვოკატის განმარტებით მხარემ განჩინება 2011 წლის 28 იანვარს მასზე ადრე ჩაიბარა, რის შემდეგაც მაშინვე დაურეკა, მიუტანა და შემდეგ ეს განჩინება ადვოკატის მიერ გასაჩივრებული იქნა კერძო საჩივრით უზენაეს სასამართლოში.

2.13 ადვოკატის განმარტებით ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელების შემდეგ, მხარე აღარ დაინტერესებულა საქმის ვითარებით, ადვოკატისგან დაიბრუნა საქმის მასალები და გაუუქმა რწმუნებულება, რადგან დაადანაშაულა მოწინააღმდეგე მხარესთან ალიანსში.

2.14 ადვოკატის განცხადებით მან კლიენტის წინაშე ნაკისრი ვალდებულება მთლიანად შეასრულა და ლ. მ.-ის სარჩელის განუხილველად დატოვების მიზეზი იყო მისი გამოუცხადებლობა 2010 წლის 21 მაისის სასამართლო სხდომაზე და შემდეგ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა. ადვოკატი აცხადებს, რომ საქმის წარმოების განმავლობაში კლიენტს გაუწია ამომწურავი იურიდიული მომსახურება, დოკუმენტების მოპოვება, დოკუმენტების შედგენა, ზეპირი კონსულტირება და სასამართლო სხდომაზე წარმომადგენლობა. მისი განმარტებით, მან მთლიანად შეასრულა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნები და მის მიერ ახსნა-განმარტებაში მითითებული ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტი თან ერთვის ახსნა-განმარტებას.

2.15 2011 წლის 21 ივლისს ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი ნ. ხ. და უპასუხა ეთიკის კომისიის წევრების შეკითხვებს.

2.16 ადვოკატის განმარტებით, ლ. მ. სარჩელის შეტანისას აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქმის წარმოებაში. მათ ერთად გამოარკვიეს, რომ სავარაუდო მოპასუხეების სახელზე საჯარო რეესტრში ხუთი ბინა ირიცხებოდა. აღნიშნულ ხუთ ბინაზე ყადაღის დადების მოთხოვნით განცხადებით მიმართეს სასამართლოს, მაგრამ ყადაღის დადებამდე მოხდა ერთი ბინის გასხვისება, ხოლო დანარჩენ ბინებს დაედოთ ყადაღა.

2.17 ადვოკატის განმარტებით, ლ. მ.-სთან შეთანხმდა, რომ არც ერთი მათგანი არ გამოცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე. პროცესის გადადების შესახებ განცხადებაში საკუთარი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები ჰქონდა მითითებული, რაც შეეხება მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს, დაზუსტებით ვერ იხსენებს აღნიშნა თუ არა ის განცხადებაში.

2.18 ადვოკატის განცხადებით, მან არ აუხსნა კლიენტს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის რისკის არსებობის თაობაზე, ვინაიდან მის ხელთ არსებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე შეძლებდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მის გაუქმებას.

2.19 ადვოკატის განმარტებით, მისთვის გაუგებარი აღმოჩნდა სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ფაქტი, ვინაიდან მას პრაქტიკაში ჰქონდა წარმომადგენლის საპატიო მიზეზის გამო გამოუცხადებლობისას, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევები.

2.20 ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული ხარვეზის შესახებ განჩინება მას ჩაბარდა და არ უცნობებია საჩივრის ავტორისათვის იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟი - 5000 ლარი ჰქონდა გადასახდელი.

2.21 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი ხშირად ურეკავდა მას, თუმცა მისი დაკავებულობის გამო, იყო შემთხვევები, როდესაც ვერ ახერხებდა მის სატელეფონო ზარებზე პასუხს. განახევრებული ბაჟის შესახებ მან საჩივრის ავტორს აცნობა, რისი გადახდისთვისაც მან მოითხოვა ვადის გაგრძელება. კლიენტის მიერ ბაჟის გადაუხდელობის გამო სააპელაციო სასამართლომ საჩივარი განუხილველი დატოვა.

2.22 ადვოკატმა 2011 წლის 09 თებერვალს მიმართა სასამართლოს კერძო საჩივრით, სადაც მიუთითა, რომ თანახმა იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდაზე, უბრალოდ ითხოვა ვადის გაგრძელება და ასევე ითხოვა მიეცათ საშუალება, საქმე განხილულიყო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

2.23 ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2011 წლის 11 თებერვალს საჩივრის ავტორმაც მიმართა სასამართლოს კერძო საჩივრით, სადაც განმარტა, რომ ჰყავდა წარმომადგენელი, რომელიც მას არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მსვლელობის შესახებ. კერძო საჩივარში საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, აკრძალული ჰქონდა ადვოკატთან სიარული და მან ტელეფონით შეიტყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ. მან ასევე აღნიშნა, რომ მოსთხოვა ადვოკატს დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული საბუთების გადაცემა, რაც ადვოკატმა არ შეასრულა. ბატონი ლ. წერდა, რომ მკაცრად გააფრთხილა ადვოკატი, რომ ყოველთვის ეცნობებინა მისთვის შემდგომ ყოველი დოკუმენტისა და თარიღის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატს

შეუწყდებოდა ხელშეკრულება. ლ. მ.-მ ასევე მიუთითა, რომ ადვოკატი მას დაჰპირდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებას და გაუქმებას. საჩივრის ავტორის განცხადებით, შემდგომ ადვოკატი აღარ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ და მანამ, სანამ ის თვითონ არ მივიდა სააპელაციო სასამართლოში, მისთვის ცნობილი არ იყო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

2.24 ადვოკატის განმარტებით, ბატონი ლ. არ იყო მოკლებული შესაძლებლობას 21 მაისს, როდესაც სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა, მისულიყო სასამართლოს სხდომაზე. 21 მაისის საღამოს რამოდენიმეჯერ ესაუბრა იგი ადვოკატს ტელეფონოთ, დაახლოებით 6-7 საათისათვის. შესაბამისად მისთვის ცნობილი იყო 21 მაისს გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

2.25 ადვოკატი აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლომ არ იმსჯელა მისი კერძო საჩივრის შესახებ, ვინაიდან რამოდენიმე დღეში კერძო საჩივარი წარდგენილი ჰქონდა საჩივრის ავტორსაც. საკასაციო სასამართლოს უპასუხა, რომ კლიენტი თავად ირჩევს წარმომადგენელს და მის პრობლემას არ წარმოადგენდა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის შეუტყობინებლობა. ადვოკატის მოსაზრებით, ლ. მ.-ის კერძო საჩივრის არ არსებობის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო დააკმაყოფილებდა მის მოთხოვნას და მისცემდა სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესაძლებლობას.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2011 წლის 02 მაისს გადაწყვეტილებით, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ნ. ხ.-ის მიერ შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“, „ე“ პუნქტები, მე-6 მუხლი და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-3, მე-5 და მე-8 მუხლები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, ეთიკის კომისიამ შეისწავლა და დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ადვოკატის მიერ კლიენტი არ იყო ინფორმირებული სააპელაციო სტადიაზე საქმის წარმოებისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის თაობაზე, რომელიც მოცემულ შემთხვევაში 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

4.1.1 2011 წლის 21 ივლისის სხდომის ოქმი (გვ.6);

4.1.2 მხარეთა განმარტებები - გადაწყვეტილების პ.1.13,2.20

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

4.2 საჩივრის ავტორი - ლ. მ. განმარტავს, რომ მას ზუსტად არ ახსოვს, იცოდა თუ არა 2010 წლის 21 მაისს სასამართლო სხდომის ჩანიშვნის შესახებ. თავის მხრივ, ადვოკატი ნ. ხ. აღნიშნავს, რომ მისმა კლიენტმა იცოდა, რომ 21 მაისს სხდომა შედგებოდა.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. ხ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ საკითხთან მიმართებაში.

4.2.1 საჩივრის ავტორი ადვოკატისადმი წაყენებული პრეტენზიებიდან ყურადღებას ამახვილებს კლიენტის არაინფორმირებულობაზე, კერძოდ ის, რომ კლიენტმა არ იცოდა, რომ ადვოკატი ვერ დაესწრებოდა 2010 წლის 21 მაისის სხდომას, ასევე მისთვის უცნობი იყო სხდომაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები. ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტი ინფორმირებული იყო 2010 წლის 21 მაისის სხდომის თაობაზე.

4.2.2 ადვოკატმა კლიენტს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე. მან კლიენტს განუმარტა, რომ ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა სასამართლოში, ხოლო სასამართლოს განუცხადა, რომ სამსახურეობრივ მივლინებაში იმყოფებოდა. ამ გარემოებებს კატეგორიულად უარყოფს ადვოკატი და განმარტავს, რომ მან პირადად აცნობა კლიენტს, რომ ვერ მივიდოდა სხდომაზე.

4.2.3 ადვოკატ ნ. ხ.-ის განმარტება სადავოა, რადგან ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებებს შეიცავს. კერძოდ, მან საპროცესო კოლეგიასთან გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ კლიენტს განუმარტა სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგი (იხ. საპროცესო კოლეგიასთან ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტება, წინამდებარე გადაწყვეტილების პ.2.9), ხოლო განხილვის კოლეგიასთან გასაუბრებისას ადვოკატმა განმარტა, რომ მან არ აუხსნა კლიენტს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის რისკის არსებობის თაობაზე, ვინაიდან მის ხელთ არსებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შეძლებდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მის გაუქმებას (იხ. 2011 წლის 15 აპრილის სხდომის ოქმი, წინამდებარე გადაწყვეტილების პ.2.18).

4.3 საჩივრის ავტორმა- ლ. მ.-მ განხილვის კოლეგიაზე საქმისწარმოების ეტაპზე სადავო გახადა საკუთარი ხელმოწერა სააპელაციო საჩივარზე. თავის მხრივ, ადვოკატი აცხადებს, რომ სააპელაციო საჩივარს ლ. მ.-მ მოაწერა ხელი.

4.4 ეთიკის კომისია საჩივრის ავტორის აღნიშნულ პრეტენზიას არ იზიარებს, ვინაიდან აღნიშნული გარემოება ლ. მ.-მ სადავო გახადა მხოლოდ განხილვის კოლეგიის სხდომაზე.

4.5 საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატი გაურიგდა მოწინააღმდეგე მხარეს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტებები;
2. 21.07.2011 წლის სხდომის ოქმი;
3. 14.05 2010 წლის ბრძანება მივლინების შესახებ;
4. შრომითი ხელშეკრულებები №xxx და №xxxx;
5. 21.05.2010 წლის სასამართლოს სხდომის ოქმი;
6. 03.09.2010 წლის სასამართლოს სხდომის ოქმი;
7. 08.10.2010 წლის სააპელაციო საჩივარი;
8. 28.01.2011 წლის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

9. ლ. მ.-ის კერძო საჩვარი 2011 წლის 28 იანვრის განჩინების გასაჩივრების თაობაზე.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნია, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრის - ნ. ხ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ნ. ხ.-მ პროფესიული საქმიანობის შესრულებისას დაარღვია შემდეგი მუხლები:

6.1.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები. „ა“ ქვეპუნქტის თანახმად „ადვოკატის მოვალეობაა კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“. „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად „ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები“. „ე“ ქვეპუნქტის თანახმად „შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები“.

6.1.2 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი - „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“.

6.1.3 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-3 მუხლი - „ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და მიუკერძოებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისადმი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა“.

6.1.4 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლი - „ადვოკატმა ყოველთვს უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა“.

6.1.5 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი - „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

6.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპია ნდობის პრინციპი. კოდექსი ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებად მიიჩნევს იმგვარ დამოკიდებულებას კლიენტთან ურთიერთობაში, რომ ეჭვქვეშ არ დადგეს ნდობის პრინციპი. ეთიკის კოდექსი სწორედ ადვოკატის მიმართ ადგენს, რომ ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისადმი კლიენტის ნდობა. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატისათვის საკუთარი პრობლემის განდობით იწყება და ყოველი შემდგომი ნაბიჯი კლიენტის დაცვისათვის სათანადოდ განმარტებული და შეთანხმებული უნდა იყოს კლიენტთან. ადვოკატი, როგორც სპეციალური ცოდნის მქონე პირი, ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს კანონიერი რჩევა, სრული, ამომწურავი ინფორმაცია მისთვის გასაგებ ენაზე. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით საგანგებოდ

გამოყოფს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის დროული მიწოდებისა და ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულების განმარტების აუცილებლობას.

6.3 სადავო შემთხვევაში, საქმისწარმოების განხილვის კოლეგიის მიერ მოსმენის ეტაპზე, მხარეთა განმარტებით უდავოდ დადგინდა, რომ საჩივრის ავტორი - ლ. მ. არ იყო ინფორმირებული სააპელაციო საჩივრისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის თაობაზე. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაცი საჩივრისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი - 5000 ლარს შეადგენს. კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის კანონისმიერი ვალდებულებაა, კლიენტს განუმარტოს საქმისწარმოებასთან დაკავშრებული ყველა ფინანსური ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ კლიენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული იმ ყველა შესაძლო ფინანსურ დანახარჯზე, რომლის გაღებაც მას შეიძლება მოუხდეს. ეს ვალდებულება ნიშნავს, რომ ადვოკატმა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დარწმუნებულიც რომ იყოს საქმის წარმატებულ შედეგში, უნდა განჭვრიტოს ყველა ის გარემოება, რომელიც შესაძლოა გონივრული განსჯის შედეგად წინასწარ იქნეს შეფასებული როგორც რისკი. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, სასამართლო საქმისწარმოების პირველ ეტაპზე კლიენტმა გადაიხადა ფიზიკური პირისათვის კანონით დადგენილი ბაჟი ზედა ზღვრის ოდენობით - 3000 ლარი, ასევე გადაიხადა საადვოკატო მომსახურებისათვის - 1000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. ამასთან, საჩივრის ავტორი პენსიონერია და მისთვის ადვილი არ იქნებოდა - 5000 ლარის გადახდა სააპელაციო ეტაპზე. ადვოკატი ვალდებული იყო საქმისწარმოების მომდევნო ეტაპისათვის გადასახდელი ბაჟის შესახებაც მიეწოდებინა სრულყოფილი ინფორმაცია კლიენტისათვის, თუმცაეს არ გააკეთა, რითაც დაარღვია კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნები.

6.4 ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს ადვოკატის მცდელობას, საპროცესო კანონით დადგენილი წესით გაენახევრებინა კლიენტისათვის სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა და ნაწილობრივ მიაღწია კიდეც შედეგს, თუმცა ამ გარემოებას არ აფასებს, როგორც ადვოკატის მიერ სათანადოდ განხორციელებულ წარმომადგენლობას. კლიენტს რომ დროულად სცოდნოდა სააპელაციო საჩივრისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, იგი თავად უზრუნველყოფდა წინასწარ მომზადებას და გასაწევი ხარჯის თაობაზე მიიღებდა გადაწყვეტილებას.

6.5 საჩივრისა და საჩივარში წარმოდგენილი საქმის მასალების მიხედვით, საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ საქმისწარმოების სხვადასხვა ეტაპზე არაინფორმირებულობის გამო, მხოლოდ შესაძლო ფინანსური ვალდებულების შესახებ ინფორმაციის განუმარტებლობას არ ეხება. კლიენტის პრეტენზია იმასაც მოიცავს, რომ მას არასოდეს მიუღია ინფორმაცია ადვოკატისაგან სასამართლო სხდომის შესახებ, ყოველთვის თვითონ ურეკავდა ადვოკატს და გებულობდა ინფორმაციას. თავის მხრივ, ადვოკატის განმარტებით, ის ყოველთვის აწვდიდა ინფორმაციას კლიენტს საქმის მიმდინარეობის გამო, თუმცა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც იმის გამო, რომ იგი იყო დაკავებული, ვერ პასუხობდა ლ. მ.-ის სატელეფონო ზარებს.

6.6 სადავო ურთიერთობაში საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მას ზუსტად არ ახსოვს, ინფორმირებული იყო თუ არა 2010 წლის 21 მაისს დანიშნული სასამართლოს სხდომის თაობაზე. ადვოკატის მტკიცებით კი მისმა კლიენტმა იცოდა, რომ 21 მაისის სხდომა სხდომა შედგებოდა, თუმცა ადვოკატის მიერ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე და განხილვის კოლეგიის სხდომაზე ჩამოყალიბებული განმარტება ურთიერთგამომრიცხავია. კერძოდ, ადვოკატმა ნ. ხ.-მ საპროცესო კოლეგიასთან გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ კლიენტს განუმარტა სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგი (იხ. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატის განმარტება, წინამდებარე გადაწყვეტილების პ. 2.9), ხოლო განხილვის კოლეგიასთან გასაუბრებისას ადვოკატმა განმარტა, რომ მან არ აუხსნა კლიენტს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის რისკის არსებობის თაობაზე, ვინაიდან მის ხელთ არსებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შეძლებდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მის გაუქმებას (იხ. 2011 წლის 15 აპრილის სხდომის ოქმი, წინამდებარე გადაწყვეტილების პ.2.18).

6.7 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ იმისაგან დამოულიდებლად, იცოდა თუ არა კლიენტმა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები, ადვოკატი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე საქმისწარმოების ყველა ეტაპზე. მოცემულ შემთხვევაშ, ადვოკატს ზეპირი გარიგება ჰქონდა კლიენტთან და სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით ვალდებული იყო საქმის წარმოებაზე. ადვოკატს კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსით ევალება კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად განახორციელოს წარმომადგენლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ სათანადო გულოდგინებითა და სასამართლო საქმის მიმდინარეობის ყველა შესაძლო რისკის შეფასებით, დროულად და გასაგებ ენაზე მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და მასთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილებები, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს, რომ საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოების ეტაპზე ადვოკატი არ გამოცხადდა სასამართლოს სხდომაზე, რის გამოც ლ. მ.-ის ინტერესების საწინააღმდეგოდ, სასამართლომ საპროცესო კანონით დადგენილი წესით გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

6.8 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ნ. ხ.-მ დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნა, როდესაც კლიენტის ინტერესებზე მაღლა დააყენა საკუთარი ინტერესები. კერძოდ, ადვოკატის განმარტებით იგი აუცილებლად უნდა წასულიყო სამსახურეობრივ მივლინებაში რაიონში და წაეღო მნიშვნელოვანი საბუთები. საქმის მასალების მიხედვით, ნ. ხ. პირადად ესწრებოდა 2011 წლის აპრილის თვეში შემდგარ სასამართლო სხდომას, რომელზეც გაუქმდა 2010 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება, პირადად ესწრებოდა და დადგენილი წესით ხელი მოაწერა დასტურს მომდევნო სასამართლო სხდომის თარიღის - 21 მაისის შესახებ. ნ. ხ.-ის სამსახურეობრივი მივლინების ბრძანება დათარიღებულია 2010 წლის 14 მაისით, რომლითაც იგი 17-დან 21 მაისამდე გაგზავნილი იქნა სამსახურეობრივ მივლინებაში. ამ მტკიცებულებით უდავოა, რომ ნ. ხ.-ს სამსახურეობრივ მივლინებაში გამგზავრების წინა დღეს - 16 მაისს ეცოდინებოდა, რომ რაიონში იყო მივლენილი. შესაბამისად, 16 მაისს უკვე რისკის ქვეშ აღმოჩნდა საჩივრის ავტორის - ლ. მ.-ის ინტერესები. ადვოკატმა თავად განმარტა, რომ 19 მაისს იგი ჩამოვიდა თბილისში, რათა გარკვეული საბუთები წაეღო რაიონში. ადვოკატი 21

მაისსაც თბილისში იმყოფებოდა, სასამართლო სხდომამდე მცირე ხნით ადრე შეიტანა განცხადება პროცესზე გამოუცხადებლობის თაობაზე. ნ. ხ.-მ თავისი სამსახურეობრივი ინტერესები მაღლა დააყენა მისი კლიენტის - ლ. მ.-ის ინტერესებზე, რამაც გამოიწვია კლიენტისათვის მძიმე და გამოუსწორებელი სამართლებრივი შედეგი. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მნიშვნელოვანია საქმეთა პარალელური წარმოებისას, ორ და მეტ სამუშაო ადგილზე საქმიანობისას, ადვოკატი საკუთარ თავზე იღებს რისკს ასწიოს ის ტვირთი, რომელიც რამდენიმე ადგილზე მუშაობას უკავშირდება და რომელიც იურისტის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების შედეგად კონკრეტულ პირთა ინტერესებს ეხება. მოცემულ შემთხვევაში ნ. ხ. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, უსაფუძვლოდ იყო დარწმუნებული, რომ სასამართლო საქმის მისი კლიენტის ინტერესებისათვის ყველაზე ცუდი შედეგით დამთავრების შემთხვევაშიც კი, პროცესუალური კანონი დაიცავდა კლიენტის ინტერესებს და იგი შეძლებდა უარყოფითი შედეგის გაუქმებას. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის განმარტებაზე (იხ. 2011 წლის 15 აპრილის სხდომის ოქმი), სადაც ნ. ხ. აღნიშნავს, რომ კლიენტს არ განუმარტა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობაზე, რადგან მას მიაჩნდა, რომ საკმარისი მტკიცებულებები იყო საქმეში და შეძლებდა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მის გაუქმებას. ადვოკატის განმარტებით, მას არაერთი ასეთი შემთხვევა ჰქონდა საადვოკატო პრაქტიკაში და საკუთარ გამოცდილებას ეყრდნობოდა. კომისია განმარტავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის დაადგინოს, თუ რა სამართლებრივ სტრატეგიას დასახავს ადვოკატი საქმის წარმოებისას, თუმცა, კომისიის აზრით, ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის რამდენად დიდი გამოცდილებაც არ უნდა გააჩნდეს, მას მაინც მოეთხოვება საქმის გარემოებათა შეფასება იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი საქმე თავისი სპეციფიკურობით ხასიათდება, საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება კანონის ძალით არ არის სასამართლოსათვის დადგენილი იურიდიული ძალის მქონედ და შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა შეძლოს იმ საფრთხეების განჭვრეტა, რაც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება შეფასდს, როგორც რისკის შემცველად კლიენტის ინტერესებისათვის.

6.9 ადვოკატის თვითიმედოვნებამ მძიმე შედეგები გამოიწვია მისი კლიენტის მიმართ, რითიც დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მოთხოვნა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის შესახებ ყველა სხვა პირის, თვით ადვოკატის ინტერესებთან შედარებითაც კი.

6.10 ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის არადამაჯერებელ და ურთიერთგამომრიცხავ განმარტებაზე 2010 წლის 21 მაისის ხდომის თაობაზე. ერთ შემთხვევაში ადვოკატი განმარტავს, რომ ლ. მ.-მ იცოდა 21 მაისის სხდომის შესახებ და ადვოკატმა ურჩია კლიენტს მისულიყო სხდომაზე, თუმცა განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა სხვაგვარი განმარტება გააკეთა, კერძოდ, მისი განცხადებით, იგი შეუთანხმდა საჩივრის ავტორს იმაზე, რომ არცერთი არ გამოცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე (იხ. 2011 წლის 15 აპრილის სხდომის ოქმი, წინამდებარე გადაწყვეტილების პ.2.17).

6.11 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატის განმარტებების წინააღმდეგობრივი შინაარსი, საჩივრის ავტორის განმარტება და საქმეში არსებული მასალები ადასტურებენ ეთიკის

კომისიაში შემოსული პრეტენზიის საფუძვლიანობას და უნდა შეფასდეს, როგორც ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების, ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-3, მე-5 მუხლებისა და მე-8 მუხლის ნე-5 ნაწილის დარღვევა.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა რა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, 33-ე მუხლით, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-3 მუხლით, მე-5 მუხლითა და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით, 33-ე, 35-ე და 38-ე მუხლებით გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ნ. ხ.-ის მიმართ /სიითი №/, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან ხუთი დღის განმავლობაში.
3. ადვოკატ ნ. ხ.-ს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ემზარ პაქსაძე/

კოლეგიის წევრი: /გია კვერენჩხილაძე/